

მნიშვნელოვანი შეტყობინება ობლიგაციების მფლობელებისათვის

სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ გამოშვებული სუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი, უვადო ფასიანი ქაღალდების - ობლიგაციების (ემისიის საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი: GE 2700004981) მფლობელთა საყურადღებოდ:

სს ლიბერთი ბანკი შემდგომში („ემიტენტი“) გეგმავს ოფიციალურად მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს 25,000,000 აშშ დოლარამდე ნომინალური ღირებულების არაუზრუნველყოფილი, სუბორდინირებული, უვადო ობლიგაციების (შემდგომში „ობლიგაციები“) ემისიის საბოლოო პროსპექტში არსებითი ცვლილებების შეტანის მოთხოვნით.

ცვლილებების შეტანის საფუძველს წარმოადგენს „ობლიგაციების“ შეთავაზების პერიოდის მიმდინარეობისას მომხდარი ისეთი მოვლენა, რამაც შესაძლოა პოტენციურად გამოიწვიოს „ემიტენტზე“ კონტროლის მქონე აქციონერის ცვლილება. კერძოდ, „ემიტენტი“ მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი, ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი აწარმოებს მოლაპარაკებებს საქართველოში მოქმედ ერთ-ერთ კომერციულ ბანკთან, სს ბაზისბანკთან, „ემიტენტის“ კაპიტალში მისი კუთვნილი წილის სს ბაზისბანკზე გასხვისების შესახებ (პოტენციური ტრანზაქცია).

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად, „ემიტენტმა“ 2025 წლის ივლისში ოფიციალურად, წერილობით მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს „ემიტენტის“ მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის მიერ საკუთარი წილის სრულად გასხვისების შესახებ. „პოტენციური“ ტრანზაქცია გულისხმობს „ემიტენტის“ აქციონერის მიერ „ემიტენტის“ კაპიტალში მისი კუთვნილი 95.99% წილის სრულად გასხვისებას, რასაც განხორციელების შემთხვევაში შედეგად მოჰყვება „ემიტენტის“ მაკონტროლებელი პირის ცვლილება.

„ემიტენტის“ ხელთ არსებული ინფორმაციით, სს ბაზისბანკმა, რომელიც „პოტენციური ტრანზაქციის“ გარეგნობაში წარმოადგენს „ემიტენტის“ მნიშვნელოვანი წილის შემძენს, თავის მხრივ ასევე მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს განცხადებით, კომერციული ბანკის („ემიტენტის“) მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ.

„ემიტენტმა“ და სს ბაზისბანკმა ერთობლივად ასევე მიმართეს საქართველოს ეროვნულ ბანკს, „პოტენციური ტრანზაქციის“ განხორციელების შედეგად ბაზარზე წარმოქმნილი შესაძლო კონცენტრაციისა და „პოტენციური ტრანზაქციის“ კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესაფასებლად. შეტყობინებაში აღნიშნულია, რომ არსებული გეგმის მიხედვით, „პოტენციური ტრანზაქციის“ დასრულების შემდეგ, გარკვეული პერიოდი „ემიტენტი“ გააგრძელებს საქმიანობას როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, ხოლო დასრულებიდან 9-12 თვის განმავლობაში მოხდება „ემიტენტის“ სს ბაზისბანკთან შერწყმა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა წარდგენილი შეტყობინება კონცენტრაციის შესახებ და 2025 წლის 01 აგვისტოს განკარგულებით დაადგინა, რომ „პოტენციური ტრანზაქციის“ განხორციელება თავსებადი იქნება კონკურენტულ გარემოსთან.

„პოტენციური ტრანზაქციის“ განსახორციელებლად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობა. წინამდებარე შეტყობინების თარიღისთვის „პოტენციური ტრანზაქციის“ განხორციელებაზე საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობა გაცემული არ არის და „ემიტენტისთვის“ უცნობია, განხორციელდება თუ არა „პოტენციური ტრანზაქცია“ აღნიშნული ფორმით (სს ბაზისბანკის მიერ „ემიტენტის“ კაპიტალში 95.99% წილის შეძენა, შემდგომში ორი კომერციული ბანკის შერწყმით) ან განხორციელდება თუ არა საერთოდ.

ვინაიდან წინამდებარე შეტყობინება მიზნად ისახავს ისეთი სახის ინფორმაციის გამჟღავნებას, რასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს ინვესტორთა მიერ „ობლიგაციების“ შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, „ემიტენტი“ გეგმავს მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ემისიის საბოლოო პროსპექტში (წინასწარი პროსპექტის დამტკიცების თარიღი 29 ნოემბერი 2024 წელი, საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცების თარიღი 17 დეკემბერი 2024 წელი) არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანის მოთხოვნით. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის საბოლოო პროსპექტში ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილებები გახდება ემისიის საბოლოო პროსპექტის განუყოფელი ნაწილი. ინვესტორებს, რომლებმაც ზემოაღნიშნული ემისიის პროსპექტის საფუძველზე შეიძინეს ფასიანი ქაღალდები, აქვთ უფლება, მოცემული შეტყობინების შედგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მიმართონ „ემიტენტს“ წერილობითი ფორმით და შესაბამისი განაცხადის წარდგენის საფუძველზე უარი თქვან შეძენილ „ობლიგაციებზე“, რა შემთხვევაშიც „ემიტენტი“ განაცხადის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში გამოსყიდის შეძენილ „ობლიგაციებს“. გამოსყიდვის ფასი განისაზღვრება „ობლიგაციის“ ნომინალური ღირებულებით, დამატებული დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებელი.

პატივისცემით,
სს „ლიბერთი ბანკი“